სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/29

(ოქმი N31)

30 დეკემბერი 2019 წ

ქ. ბათუმი

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მერაბ ბლადაძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქმეზე: მერაბ ბლადაძე სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს წამყვან/რეპორტიორის თეონა ბაკურიძისა და ჟურნალისტის ირინე წუწუნავას წინააღმდეგ.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი;

მრჩეველთა საბჭოს წევრები: თამილა დოლიძე, სოსო სტურუა;

მხარეები:

სააპელაციო საჩივრის ავტორი მერაბ ბლადაძე;

სააპელაციო მოპასუხე თეონა ბაკურიძე და ირინე წუწუნავა (არ ესწრებოდნენ).

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 22 ოქტომბერს განცხადებით (N02-24/365) მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრმა მერაბ ბლადაძემ. განცხადებაში მითითებულია, რომ მაუწყებლის მიერ 2019 წლის 18 ოქტომბერს გადაცემა ,,მთავარში'' ჟურნალისტმა საკუთარი ინტერპრეტაციით გადასცა 2019 წლის 17 ოქტომბერს თოქშოუ ,,სათქმელში'' მისი სიტყვები (,,რატომ უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის იდეოლოგი, თემურ (იგულისხმება ზვიად) ქორიძე... ადგილობრივები არ გვყავს? დავიჯერო ასეთი უვიცები არიან ადგილობრივები?'') რითაც შეიცვალა ნათქვამის აზრი და საზოგადოებას ჩამოუყალიბდა მცდარი შეხედულება ზვიად ქორიძის მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და მოითხოვა ტელევიზიის მიერ საჯარო განმარტების გაკეთება და ბოდიშის მოხდა.

მაუწყებლის 2019 წლის 24 ოქტომბრის N02-19/469 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''-მ მის მიერ გადაცემა ,,მთავარის'' ეთერში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ შეიტანა ცვლილება გავრცელებულ ინფორმაციაში და განათავსა მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე შემდეგი შინაარსის განცხადება: ,,მთავარის'' ეთერში მერაბ ბლადაძის

განცხადების შესახებ მომზადებულ მასალაში (სათაურში და მინაწერი ,,ადგილობრივები არ გვყავს? ჩამოსულებს რომ ვასაქმებთ'', არ არის მისი განცხადების ზუსტი ციტირება და არ გამომდინარეობს მისი გამოსვლიდან.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი კომისიის 2019 წლის 26 ნოემბრის N7 გადაწყვეტილება:

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილმა საჩივრების განმხილველმა კომისიამ (2019 წლის 13 ნოემბრის N02-03/16 ბრძანება) განიხილა მერაბ ბლადაძის საჩივარი და 2019 წლის 26 ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში მითითებულია შემდეგი:

კომისიამ მიიჩნია, რომ ბატონმა ბლადაძემ მის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, პრობლემად წარმოაჩინა, რომ ადგილობრივების ნაცვლად ასაქმებენ არაადგილობრივებს. აქედან გამომდინარე წამყვანის მხრიდან ადგილობრივის მონაცვლედ თავისუფლად იყო შესაძლებელი გამოყენებულიყო სიტყვა ჩამოსული. ბლადაძის მთელი ციტატა სწორედ ,,ჩამოსულის დასაქმების'' პათოსითაა გაჟღენთილი, ამიტომაც კომისია შეთანხმდა, რომ წამყვანის ასეთ ინტერპრეტირებით არ მომხდარა გამომსვლელის აზრის შინაარსის არსობრივი შეცლა, მისი აზრის დამახინჯება.

მედია პროდუქტის შექმნისას სიზუსტის დაცვა არ ნიშნავს ციტატის ზუსტ კოპირებას. ხშირად ჟურნალისტები რომელიმე რესპოდენტის რამდენიმე საათიან ინტერვიუდან აუდიტორიას მთავარ გზავნილებს რამდენიმე წამის ხანგრძლივობის ფრაგმენტით, ანდა პერეფრაზით აწვდიან. მსგავს შემთხვევებში მთავარია ჟურნალისტმა არ შეცვალოს, არ დაამახინჯოს რესპოდენტის მოწოდებული ინფორმაციის აზრი. ჟურნალისტმა არ უნდა აღწეროს რესპოდენტის მონათხრობი ისე, რომ არსებითად იცვლებოდეს შინაარსი, არ უნდა მოხდეს იმის წარმოჩენა რაც არ თქმულა. განხილულ შემთხვევაში კომისიის შეფასებით არ მომხდარა ჟურნალისტის მიერ მერაბ ბლადაძის ნათქვამის იმგვარი ინტერპრეტირება, რაც ძირეულად შეცვლიდა რესპოდენტის გამონათქვამის მთავარ გზავნილს (არაადგილობრივების დასაქმების და ადგილობრივების დაუსაქმებლობაზე წუხილის შესახებ).

გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია კომისიის რეკომენდაცია: განხილვის ეტაპზე კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ მერაბ ბლადაძის საჯარო პრეტენზიის შემდეგ, სიუჟეტის გასვლიდან რამდენიმე საათში, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა გუნდმა მოახდინა ვებგვერდზე შესწორების გამოქვეყნება, სადაც ნათქვამი იყო, რომ სიტყვა ჩამოსული არ იყო ბლადაძის ზუსტი ციტირება და იქვე იყო მოყვანილი ზუსტი ციტატა. კომისია მიესალმება რედაქციის მსგავს დამოკიდებულებას, მიუხედავად, იმისა რომ ამ ,,შეცდომას'' მივიჩნებთ არა არსებითად და სიტყვა ,,ჩამოსული'' ასახავს ბლადაძის გადაცემაში გაჟღერებული მოსაზრების მოკლე შინაარსს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რესპოდენტის პრეტენზიაზე ასეთი მყისიერი რეაგირება, თუმცა აქვე გვაქვს რეკომენდაცია, რომ ამ შესწორებაში გადმოცემული ტექსტის იდენტური ტექსტი თან ერთვოდეს სადაო მასალას ყველგან, სადაც მისი გავრცელება მოხდა ანდა მოხდება, ანუ

ვებგვერდზე, ან სოციალურ ქსელში განთავსებულ ამ სიუჟეტს აუცილებლად მიეწეროს, რომ მასში მოყვანილი სიტყვა ,,ჩამოსული'' არ არის რესპოდენტის ზუსტი ციტირება, თუმცა ასახავს მერაბ ბლადაძის მოსაზრების კრებით აღწერას.

კომისიამ დაადგინა, რომ ჟურნალისტების, თეონა ბაკურაძის და ირინე წუწუნავას მიერ მერაბ ბლადაძის 2019 წლის 17 ოქტომბერს თოქშოუ ,,სათქმელში'' გამოთქმული მოსაზრების თაობაზე სიუჟეტის წარდგენისას/მომზადებისას არ დარღვეულა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლები, ასევე ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება 2019 წლის 6 დეკემბერს სააპელაციო წესით გაასაჩივრა მერაბ ბლადაძემ, განცხადებაში მითითებული, რომ მას გადაწყვეტილება ჩაბარდა 2019 წლის 4 დეკემბერს, რომელსაც არ ეთანხმება და მიაჩნია რომ გადაწყვეტილებაში მითითებული სიტყვები: ,,კომისიის სამივე წევრი ვთანხმდებით რომ ბატონმა ბლადაძემ მის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, პრობლემად წარმოაჩინა, რომ ადგილობრივების ნაცვლად ასაქმებენ არაადგილობრივებს. აქედან გამომდინარე წამყვანის მხრიდან ადგილობრივის მონაცვლედ თავისუფლად იყო შესაძლებელი გამოყენებულიყო სიტყვა ჩამოსული. ბლადაძის მთელი ციტატა სწორედ ,,ჩამოსულის დასაქმების'' პათოსითაა გაჟღენთილი, ამიტომაც კომისია შეთანხმდა, რომ წამყვანის ასეთ ინტერპრეტირებით არ მომხდარა გამომსვლელის აზრის შინაარსის არსობრივი შეცლა, მისი აზრის დამახინჯება.'' და ასევე სიტყვები ,,აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ აჭარის ტელევიზიის აღნიშნულ მედია პროდუქტში არ არის დარღვეული მაუწყებლის მე-13 და მე-14 მუხლის მოთხოვნები, ,,მაუწყებლის შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი (მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა) ინფორმაციის სიზუსტე და არ უნდა მოხდეს მისი უარყოფა შესწორება.

სააპელაციო საჩივრის ავტორი ითხოვს გაუქმდეს კომისიის გადაწყვეტილება ახალი გადაწყვეტილების მიღებით, რადგანაც მიიჩნევს, რომ სახეზეა აშკარად დარღვეული მისი უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი და მეორე პუქნტების შესაბამისად.

მერაბ ბლადაძის სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა 2019 წლის 25 დეკემბერს, რომლის თაობაზეც მრჩეველთა საბჭოს განცხადება გამოქვეყნდა მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე. მხარეებს ასევე გაეგზავნათ შეტყობინებები.

სხდომაზე გამოცხადებულმა მერაბ ბლადაძემ მხარი დაუჭირა თავის საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ მაუწყებლის მიერ გაკეთებული სიუჟეტით მასა და მის ოჯახს მიადგა მორალური ზიანი. მის ოჯახის წევრებს ეს ანერვიულებს და ის ყველანაირად შეეცდება მისი ოჯახის ღირსების დაცვას. მერაბ ბლადაძემ განმარტა, რომ შინაარსი შეიძლება იყოს იგივე, მაგრამ თქმის ფორმას აქვს მნიშვნელობა.

სამოტივაციო ნაწილი:

მრჩეველთა საბჭო მიიჩნევს, რომ მერაბ ბლადაძის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი კომისიის 2019 წლის 26 ნოემბრის N7 გადაწყვეტილება, რადგანაც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია ფაქტობრივი და სამათლებრივი შეფასებები არის სრულიად დასაბუთებული.

მრჩეველთა საბჭო ეთანხმება კომისიის მსჯელობას ძირითადი ფაქტობრივი გარემოების შეფასებაში, კერძოდ იმას, რომ ბატონმა ბლადაძემ მის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, პრობლემად წარმოაჩინა, რომ ადგილობრივების ნაცვლად ასაქმებენ არაადგილობრივებს. აქედან გამომდინარე წამყვანის მხრიდან ადგილობრივის მონაცვლედ თავისუფლად იყო შესაძლებელი გამოყენებულიყო სიტყვა ჩამოსული. ამასთან სიტყვა ,,ჩამოსული'' არ შეიცავს დამატებით რაიმე ისეთ შინაარსს, რასაც არ მოიცავს არაადგილობრივი.

მრჩეველთა საბჭო ასევე მიიჩნევს, რომ ციტატის ზუსტი კოპირების მოთხოვნა არ არსებობს, თუმცა ჟურნალისტმა არ უნდა შეცვალოს რესპოდენტის მოწოდებული ინფორმაციის აზრი. განხილულ შემთხვევაში არ მომხდარა ჟურნალისტის მიერ მერაბ ბლადაძის ნათქვამის იმგვარი ინტერპრეტირება, რაც ძირეულად შეცვლიდა რესპოდენტის გამონათქვამის მთავარ გზავნილს (არაადგილობრივების დასაქმების და ადგილობრივების დაუსაქმებლობაზე წუხილის შესახებ).

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე დგინდება, რომ არ დარღვეულა რომელიმე საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, მათ შორის არც ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, ..მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილების და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების შესაბამისად, სააპელაციო კომისიამ (მრჩეველთა საბჭო) დაადგინა:

1. მერაბ ბლადაძის სააპელაციო საჩივარი სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არ დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის 2019 წლის 26 ნოემბრის N7 გადაწყვეტილება.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია გამოცხადებისთანავე და მისი გასაჩივრება თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში დაუშვებელია.

3. დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge'' და ასევე, დაინტერესებულ პირებს ჩაბარდეთ მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

თამილა დოლიძე

სოსო სტურუა